

ჩაშენებული პრაქტიკა ინკლუზიური განათლების სწავლებისას

იაგორ ბალანჩივაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების აკადემიური დოქტორი

რეზიუმე

ინკლუზიურ განათლებას სათანადო ადგილი დაეთმო ეროვნულ სასწავლო გეგმასა და მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში. სტატიაში საუბარია სასწავლო საგნის „ინკლუზიური განათლება“ სწავლების აქტუალობაზე. განხილულია „ინკლუზიური განათლების“ არსი და მიზანი. სტატიაში საუბარია თუ რატომ არის აუცილებელი ჩაშენებული პრაქტიკა და განხილულია მისი მიზნები და გადმოცემულია თუ როგორ მიმდინარეობს ჩაშენებული პრაქტიკა. დასასრულ, ნაჩვენებია, თუ რა სარგებელი მოაქვს ასეთი სახის პრაქტიკას სკოლისათვის და სტუდენტებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ინკლუზიური განათლება, მიზანი, პრაქტიკა.

სასწავლო კურსი „ინკლუზიური განათლება“ არის სავალდებულო ტიპის საგანი დაწყებითი განათლების სპეციალობის სტუდენტებისათვის. საგნის აქტუალობა გამოიწვია იმან, რომ დღეს საქართველოში ფართოდ გავრცელდა ინკლუზიური განათლების იდეა, რასაც განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებმა შეუწყო ხელი. სკოლის საგანმანათლებლო რეფორმების ამოსავალი წერტილი მოსწავლე და მისი მოთხოვნილებებია. შესაბამისად, სასწავლო პროცესი ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ განსხვავებული შესაძლებლობებისა და უნარების მქონე მოსწავლეთა საჭიროებები დააკმაყოფილოს.

ინკლუზიური განათლების არსი

ეროვნულ სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ: „ინკლუზიური განათლება გულისხმობს ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში“ (1). ინკლუზიური განათლების მიზანია, ყველა ბავშვს მისცეს თანამბარი შესაძლებლობა თანატოლებთან ერთად სწავლისა და სათანადო განათლების მიღების საცხოვრებელ ადგილთან ახლოს. ინკლუზიური განათლება არ გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საკლასო ოთხში ყოფნას და თანატოლებთან ერთად დროის გატარებას. სპეციალისტები გვასწავლიან, რომ „ინკლუზიური განათლება მოითხოვს მასწავლებლების, მულტიდისციპლინარული გუნდის, სკოლის ადმინისტრაციის და საერთოდ მთლიანდ სკოლის დაუღალავ შრომას, რათა გააძლიეროს და განავითაროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესაძლებლობები, გააუმჯობესოს მისი აკადემიური მდგომარეობა, ხელი შეუწყოს მისი სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას, მოამზადოს მოსწავლე დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და აქტიურად შეუწყოს ხელი მოსწავლის საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას“ (2).

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა განათლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა; რომელიც უკვე ხორციელდება საქართველოს რეგიონებში. ამავე დროს, მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში გათვალისწინებულია ინკლუზიური სწავლების პრინციპების ცოდნის აუცილებლობა, რომლის სხვადასხვა ნაწილში ვკითხულობთ (აქ მხოლოდ ის ნაწილი ამაქვს მოყვანილი, რომელიც სასწავლო გარემოს ან პროცესს ეხება, ისიც შემოკლებულად და არა თანმიმდევრულად):

- „მასწავლებელი ცნობს ინკლუზიური განათლების,

ასევე მულტიკულტურულ დამოუკიდებელი ინტეგრირების საფუძვლებს და იყენებს მასს აკუთარი პრაქტიკის დაგეგმვას და განხორციელებაში

- მასწავლებელმა იცის,

როგორ გამოიყენოს შეფასების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია და შეუძლია გრძელვადიანი დამოკლევადიანის სასწავლო გეგმების შედგენა

- მასწავლებელმა იცის,

როგორ დაამყაროს საგანთა შორის კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზანსა და შედეგებისა და პროგრამების დონეზე

- მასწავლებელმა იცის, როგორ დაგეგმოს სწავლება კოლეგებთან ერთად

- მასწავლებელს შეუძლია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნა და ამ გეგმ

ის მიხედვით სწავლება და შეფასება“ (3).

საგნისა და ჩაშენებული პრაქტიკის აუცილებლობა

ყოველივე ზემოთხსენებულმა გამოიწვია საქართველოს უნივერსიტეტებში პედაგოგიურ და განათლების ფაკულტეტებზე საგნის „ინკლუზიური განათლების“ დანერგვა. საგანი შედგება ლექცია-სემინარების, პრაქტიკული მუშაობისა და ჩაშენებული პრაქტიკისაგან. მეცადინეობები ჩატარდება როგორც უნივერსიტეტში, ასევე საჯარო სკოლაში, რომელთანაც უნივერსიტეტმა გააფორმა მემორანდუმი. ჩაშენებულ პრაქტიკაზე სტუდენტები შეისწავლიან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენასა და განხორციელებას, კლასის მართვას, მოდიფიცირებული გაკვეთილების ჩატარებასა და დოკუმენტაციების წარმოებას, გარკვევენ კულტურული ღონისძიებების მნიშვნელობას ინკლუზიურ განათლებაში. ყოველივე ეს დაეხმარება სტუდენტს, როგორც მომავალ პედაგოგს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლისთვის შექმნას ეფექტური სასწავლო გარემო და წარმატებით უპასუხოს ქვეყანაში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმებს. ის კარგად გაერკვევა მის პროფესიულ სტანდარტში და მზად იქნება დამოუკიდებელი მუსაობისათვის. მა სპეციალობის სტუდენტები პედაგოგიკაში სწავლობენ ეროვნულ სასწავლო გეგმას და კარგა იციან:

- „თუ სკოლას ჰყავს სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლე, სკოლამ აუცილებლად უნდა განსაზღვროს თუ რას აკეთებს იმისთვის, რომ ამ მოსწავლის განათლებისთვის ადეკვატური პირობები შექმნას (მაგ. მას შეიძლება ჰქონდეს განსაკუთრებული საგაკვეთილო განრიგი, ან სპეციალური სივრცე სადაც შეძლებს დასვენებას და სხვ.)

- ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ ასეთ მოსწავლეს შეუდგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

- თუ მოსწავლეს სწავლის შეფერხებები აქვს, მისი შეფასების კრიტერიუმები უნდა შედგეს მისი ინდივიდუალური გეგმიდან და მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე (1).

აკაკი წერთელის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანატმა, საწავლების მეთოდოლოგია და პედაგოგიკის დეპარტამენტებმა ზემოთ მოცემული მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრეს, რომ ინკლუზიური განათლების სასწავლო პროგრამის ფარგლებში ჩაშენებული პრაქტიკაგანხორციელებს ქ. ქუთაისის იმ საჯარო სკოლებში. სადაც მიმდინარეობს ინკლუზიური განათლება და აქვთ რესურსოთახი. სწავლება მიმდინარეობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით.

ჩაშენებული პედაგოგიური პრაქტიკის მიზანები:

- გააღრმავოს და განამტკიცოს სტუდენტთა მიერ მიღებული თეორიული ცოდნა სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვის შესახებ;
- გააცნოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურებები და გაითვალისწინოს სასწავლო პროცესში. მათი აკადემიური უნარების შეფასება და მასზე დაყრდნობით სასწავლო მიზნების დასახვა. სასწავლო სტრატეგიების შემუშავება;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა-განხორციელება. შესაბამისად, გაკვეთილის მოდიფიცირება და სასწავლო-დიდაქტიკური მასალების შემუშავება-მორგება. სხვადასხვა შემეცნებითი და კულტურული აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება;
- ჩამოუყალიბდეს სტუდენტებს პროფესიული უნარ-ჩვევები, შეძლონ უსაფთხო და თანასწორი სასწავლო გარემოს შექმნა. ითანამშრომლონ დირექციასთან, პედაგოგებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან.

ჩაშენებული პრაქტიკის მიმდინარეობა

საგნის სპეციფიკაიდან გამომდინარე განხორციელდება ჩაშენებული პრაქტიკა, რომელიც იქნება სალექციო კურსის თანმდევი. ანუ, სტუდენტებს ლექციები ჩატარდებათ უნივერსიტეტში, ხოლო პრაქტიკული მეცადინეობები და დავალებები განხორციელდება საჯარო სკოლაში.

საჯაროს სკოლაში სტუდენტებს თავდაპირველად შეხვდებიან ადმინისტრაცია და ინკლუზიური განათლების კოორდინატორი. მათ წინასწარ შეირჩეული ყავთ პრაქტიკის დამხმარე მასწავლებლები, რომლებსაც ვაცნობთ სტიდენტებს. დამხმარე მასწავლებლები სტუდენტებს გააცნობენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებებს, დაეხმარებიან შეფასებასა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში, შემდგომში გაკვეთილის დაგეგმვასა და ჩატარებაში, დიდაქტიკური მასალისა და თვალსაჩინოების შედგენასა და გამოყენებაში, ინტეგრირებული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში, სასწავლო პროცესის უკუკავშირსა და მონიტორინგში.

პრაქტიკის დამხმარე მასწავლებელი და პრაქტიკის ხელმძღვანელი (ლექტორი) ერთობლივად გეგმავენ სტუდენტის მიერ შესასრულებელ სამუშაოს: მოსწავლეზე და სასწავლო პროცესზე დაკვირვება, კითხვარების შედგენა და შევსება, ინტერვიუების აღება (დირექცია, მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი), მოსწავლეთა აკადემიური

შესაძლებლობების შეფასება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, გადაფასება. პრაქტიკის დამხმარე მასწავლებელი და ლექტორი ხვდებიან თვეში ორჯერ, რომლის დროსაც ხდება ჩატარებული მუშაობის ანალიზი და ახლის დაგეგმვა.

პრაქტიკის დამხმარე მასწავლებელი და სტუდენტი ხვდებიან ყოველ კვირაში. ის აცნობს სხვადასხვა მეთოდების გამოყენებას, ასწავლის განსხვავებული დაკვირვების გზებს, ასწავლის როგორ უნდა იყოს კლასის წარმატებული ლიდერი, თვალყურს ადევნებს სტუდენტის მიერ წარმოებულ სამუშაოებს, აძლევს უკუკავშირს და რეკომენდაციებს, ეხმარება თანამშრომლობასა და სხვადასხვა სასკოლო აქტივობების განხორციელებაში და მოსწავლის ქეისის შედგენაში. მენტორი ახდენს სტუდენტის მუშაობის შეფასებას წერილობითი ანგარიშის სახით, რომელიც მიეწოდება ლექტორს.

სტუდენტი და ლექტორი ერთმანეთს ხვდებიან მეცადინეობების დროს, პარალელურად ხდება დავალებების შემოწმებ-შეფასება. ლექტორი უწევს სათანადო კონსულტაციას საჭიროების მიხედვით, ასწავლის დამხმარე მასალის მოპოვების გზებს, აძლევს უკუკავშირს და უწევს შესრულებული დავალებების მონიტორინგს, ასწავლის დოკუმენტაციებისა და პორტფოლიოს წარმოებას.

დასკვნა

ასეთი ფორმით ჩატარებული ჩაშენებული პრაქტიკა, ხელს უწყობს საჯარო სკოლისა და უნივერსიტეტით დაახლოებას, მათი თანამშრომლების ხარისხის ამაღლებას, პრობლემის ერთად გადაჭრას, ხოლო სტუდენტებს უვითარდებად პროფესიული უნარ-ჩვევები და უკეთ ემზადებიან დამოუკიდებელი მუშაობისათვის. ხშირად იგეგმება და ტარდება სტუდენტებისა და სკოლის პედაგოგების ერთობლივი კულტურულ-შემეცნებითი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის თანაბარი და კეთილგანწყობილი გარემოსა და სასწავლო პროცესის შექმნას. უნივერსიტეტის ფარგლებში სტუდენტების დახმარებით განხორციელდება ინკლუზიური განათლების პოპულარიზაცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა;
2. თ. გაგოშიძე, თ. ჭინჭარაული, ე. ფილაური, მ. ბაგრატიონი - ინკლუზიური განათლების პრინციპები, თბილი, 2008 წ. ;
3. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი.